ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 9

"25" იანვარი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა 35-ში არსებული 387 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.07.001.052) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა N35-ში არსებული 387 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.07.001.052) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის №18.1099.1567 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა N35-ში არსებული 387 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.07.001.052) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით - 2 200 (ორი ათას ორასი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, ბესიკ ჭუმბურიძესთან (პ/ნ: 01026007893) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას საპრივატიზებო პირობად განსაზღვროს: გლდანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 11 იანვრის N15 გადაწყვეტილებით ბესიკ ჭუმბურიძისთვის გამოყოფილი უძრავი ქონების (ნაკვეთი N36) მის საკუთრებად რეგისტრაციის მოთხოვნაზე უარის თქმა. თბილისის მუნიციპალიტეტის

სასარგებლოდ ბესიკ ჭუმბურიძე (პ/ნ: 01026007893) დათმობს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე ყველა სახის მოთხოვნას და უფლებას და პრეტენზია აღარ ექნება მასზე არც ქონებრივი, არც უფლებრივი თვალსაზრისით

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე